

# ნაკადული სასაფრინო შურნალი.



მ ა ი ს ი.  
№ 10

# 1911

წელიწადი მეფობიდა  
მსიჩე წლოვანთათვის.

# შინაარსი:

I—ქაბუკი იესო ქრისტე და წმ. იოანე, —სურათი— გვიდა რენისა. . . . .	1
II—ის სიმღერა, —ლექსი,—კ. ახაშისნირელის . . . . .	3
III—ბიკო გოგია, —ი. ევდამიელის . . . . .	5
IV—ვირი და ძალი, —(თარგმანი), —დადა ბზვანელის . . . . .	13
V—თხუნელა, —(მუღუ)—ივანე ელიაშვილის . . . . .	17
VI—მელია და ხობობი, —ლეკ ტელსტალის, — (თარგმანი)— გოგია შერკვილისა . . . . .	22
VII—რებუსი და აღსნა . . . . .	23





ჰაბუკი იესო ქრისტე და წმ. იოანე; —სურ. გვიდო რენისა.


# შინაარსი:

I—ჭაბუკი იესო ქრისტე და წმ. იოანე, —სურათი— გვიდა რენისა. . . . .	1
II—ის სიმღერა, —ჯექსი, —კ. აბაშიანი	3
III—ბიჭო გოგია, —ი. კვდიანი	5
IV—ვირი და ძალი, —(თარგმანი), —დადა ბუგაძისა	13
V—თხუნელა, —(მუდუ) —ივანე კვიციანი	17
VI—მელია და ხოხობი, —ჯექსი ტაძარისა, —(თარგმანი)— გოგია შერვაშიძისა . . . . .	22
VII—რებუსი და აღსნა . . . . .	24





## იის სიმღერა.



ქ ძღელოზე გადვიფურჩენე,  
მიწის გული დავგბე ცივი;  
ქვეყნად მოველ გასაფხულზე,  
რომ მენახა მზისა სხივი.


რას გიძავებთ, მეც ვიცოცხლო,  
ური უგღო ფრინველთ სტვენას...  
ახლოს მოდით, ჰაწიებო,  
გაიკონებთ აშო ფშვენას...

მაგრამ ფრთხილად კი, იცოდეთ;  
არ დაძაღვათ ტლანქი ფესი,  
თორემ წელში გადატყენათ,  
ვით დიდ მუსას,—მძლავრი მესი.

შუბლზე კუთხულ ჩამოქლილო,  
 შენ, თამრიკო, ანცო, ცქვიტო!  
 შორით დასტკები ჩემის მსერით,  
 ოღონდაც კი—არ მომწუვიტო.

კ. აბაშიძისპირელი.





## ბიჭო გოგია.



ბიჭო გოგია! ბიჭო გოგია! — იმხდა მოლაღური და თან არწევდა კაკლის შტოსე ჩამოკიდებულს ბუდეს.

უვაგი, რომელიც კარგა ხანი კაკალს თავს დასტრიალებდა, დაეშვა ქვევით, შემოჯდა კაკლის კენწეროსე, მიიქნივ-მოიქნია ბოლო და მიესალმა ტკბილად მოლაღურს.

— ნათლიდვას ვახლავარ! როგორ ბრძანდებით? როგორ გიკითხოთ? როგორს გვაუთ თქვენი საუვარელი ბიჭიკო?

მოლაღურმა მალა აიხედა და ზრდილობიანად დაუკრა თავი სტუმარს.

— კარგად ვახლავართ, ნათლიჯალაბო, ღვთის მადლით, გოგიაც კარგად ძეავს. ისეთია, ისეთი ჩემი ბიჭიკო, რომ ძტრის თვალს არ დაენახვება, — მიუგო მოლაღურმა.

— მართლა? უი, ღმერთმა ვახარდოს და ვახაროს, ღმერთმა დიდი დღე მისცეს, მე კი, ეჭ... — დაიწუნა უვაგმა და ნისკარტი გულსე მიისვ-მოისვა, რომ ცრემლიანი თვალები მოეშინდა.

— რაო, იქნებ უბედურება რამ გეწვიათ? — შეეკითხა გულ-მტკივნეულად თავის მხრივ მოლაღური.

— უბედურება და რა უბედურება! — უვაგმა თავი გადაქნ-

გადმოაქნია და კისერი ისე ჩაჭყო მსრებში, რომ ნისკარტი ძლივს-ღა უჩანდა.

— შვილები ხომ ცოცხლები გეავთ! ჯალაბობაში ხომ არავინ დაგკლებიათ?

— ვუი, ვუი, ვუი! — გაბაბა ვვაჟმა და ნისკარტი რამდენ-ჯერმე შემოიკრა გულსე.

— რაო, ნათლიჯალაბო, არ იტყვი რა ამბავია? რა მოხდა ისეთი? — ეკითხებოდა დაქინებით კვლავ მოლანღური.

— ვუი, ამ დღის მომსწრესა! იჭ, რაღაღა ვარ, შვილე-ბო, ცოცხალი, რატო მეც თქვენთან... ვუი და ვაი ამ ჩემს ოხერს თავს!

მოლანღურმა ველარ მოითმინა, აფრინდა ზევით და ისეთის თანაგრძნობით შეჭყნდა თვალებში ნათლიჯალაბს, რომ ორივეს გული ამოუჯდათ.

— ეჭ, რაღა საკითხი ვარ, ნათლიდედ, დავენეტები, მეც არ ვიცი, სადა და რისთვის, კონება ველარ მომიკრებნია, — ჩაიქვითინა კიდევ ვვაჟმა.

— როგორ, კენაცვა, მიაბე, იქნებ რამე წამალი დავა-დვათ შენს დარდს და ვარამს. თუ ავად გეავს ვინმე, ღმერთი მოწუბლავ, კიდევ ეშველებათ, აბა, ტირილი კი რას გიშვე-ლით. აი, ინებეთ ეს კაკლის ფოთოლი!

ვევაჟმა თავი მსრებიდამ გამოჭყო, წაუსვ-წამოუსვა ფო-თოლს და ცრემლები ჩამოიწმინდა.

— კიამბობ, ნათლიდედ, სული მოვიბრუნე, როგორც იყო. ღმერთმა ნუგეში გცეთ ჩემი ნუგეშის ცემისათვის. აი, ჩე-მი საგლოვი და სატირალი: ჯერ იყო, კენაცვა, და კანაფსუ-ლიდანვე მთელი სოფელი გადაგვემტერა მეც და ჩემ ოჯახო-ბასაც. აკვიგდეს ებად სოფლის ბებრებმა და ზატარმლებმა. მთელი სოფლის ჯეელობა ჩვენსე აამხედრეს. აქაო და რაღაც ერთი, ორი კრუსი დაუსვამთ, აქაო და რაღაც ერთი, ორი წი-





წილს უწრინებთ, ევაჟებს სოფელში აღარ გავაჭაჭანებთო! აბა, გაკონილას ასეთი ამბავი: აღარ გავაჭაჭანებთო! საითაც უნდათ გადასასლდნენ, საითაც ნებავთ, იქით წავიდნენ, ოღონდ ჩვენ კი ჩამოგვესნანო. საით წავსულიყავ, კენაცვალე, აბა, შენ თვითონ იფიქრე: საით და როგორ გვეცხოვროს უსოფლოთ? წყალი სოფელშია, ჩვენი სარჩო-საბადებელი იქ არი, ჩვენს ძამა-წაწას იქ უცხოვრიან, ნათესავი და კეთილის-ძეოფი იქა გვევას, იქ დაუბადე, იქ გავიზარდე; აბა, ერთი შენ თითონ მიბრძანე, საით წავსულიყავ?

— ოღონდაც, ოღონდაც... რა უსამართლობაა ქვეყანაზე! — დაუდასტუროს მოლაღურმა.

— ასე და ამგვარად, აგვიჯანუდნენ, შედგნენ ეალსზე, ვინაც-კი დაქანგებული თოფი ჰქონდა, გატენეს ტეფია-წამლით. თოფის სსენებაზე მოლაღურს ტანში გააქროლა.

— დიად, მხად ჰქონდათ ყოველ წამს ჩვენთვის თოფები. ესომი, ბოსტნებში, საქათმეებზე ამართეს საფთხუნები ჩვენს შესამინებლად, მაგრამ ამით რას მოგვატყუებდნენ. გუშინდელი ხომ არა ვარ, კენაცვა, ვიცი, ეველაფერი გამოვცადე, იმისთანა კონჯებით, აბა, ვის შეამინებდნენ! მერე სულ რა იყო მიზეზი? კრუს-წიწილა, კენაცვალე, კრუს-წიწილა! არა, ვის რად უნდოდა მათი წიწილები, ერთი თქვენა გკითხავთ, რა თავში ვისლიდი!

— ოღონდაც, ოღონდაც, აბა, ქათმის წიწილები რაში გესაჭიროებათ, ნათლიჯალებო?! — დაეთანხმა გულ-უბრევილო მოლაღური და ისევ სმენად გადაიქცა.

— სწორედ ქათმის წიწილები! სცა, ვის რომელი წიწილა დააკლდებოდა — ევაჟმა წაიღო, საბუდარიდან კვერცხი დაიკარგებოდა — ევაჟმა მოიპარაო. ქონიან ტყავს გაჭმლიდნენ მხეზე გასაშრობად — ევაჟმა დახიაო!.. და, ვინ იცის, კიდევ რეებს არ გვიგონებდნენ ჭორიკანა ზატარმლები და ბებრები.

მაღლს რომ წიწილა შეეჭაბა, ან სადმე შამებში დაკარგულიყო, მაშინვე მე და ჩემს მეუღლეს გვეცემოდნენ. „როგორმე უნდა მოვიძიოთ თავიდან, როგორმე უნდა გავამოთ აქედან, რას გიკიდიათ გატენილი თოფები“, უსაუკუდურობდნენ და ააღმასებდნენ ჩვენსე თავიანთ ქმარსა და შვილებს დედაკაცებში. და აი, ერთს დღეს, ვუი, შავ-ბნელად გადაეცეთ ის დღე ჩვენს ძტრებს, როდესაც მე და ჩემი მეუღლე სოფელს ვათვალიერებდით, ისე, გულს ვაუფლებდით, უცებ, საიდგანდაც გამოვარდა თოფი და გამოასაღდეს წუთისოფელს ჩემი ბატონ-ხატრონი, ჩემი... ველარ დაათვა ნათლიჯალაბმა და ქვითინი ამოუშვა.

— როგორ, ნუთუ ნათლიმაბა ცოცხალი აღარ არი? —

შეეკითხა შიშისაკან ძთლად გაუვითლებული მოლაღური.

— აღარ არი, გენაცვალე, აღარ არი...

— საწყალი და საბრალო ნათლიმაბაბა, — მიუსამძიმრა გულძტვივნეულად მოლაღურმა და ცრემლები დაზა-ღუნით წამოვიდა მის ვვითელ გულსაფარსე.

— საწყალი და საბრალო ბიჭებმა ჯერ კარგანანს ათრიეს, მერე ფრთები დააგლიჯეს, მერე თავი წასწვიტეს და შემდეგ ფესებით ჩამოჭვიდეს ესომი. ვერ ეღიწსა თავის შვილების დატრებას, ის უბედურს ვარსკვლავსე გაჩენილი, ისა... და ნათლიჯალაბმა კანაბა კიდევ ტირილი.

— მაღლობა ღმერთს, რომ შენ მანც ცოცხალი გადარჩიი... — ამლევადა ბანს ნათლიდედაც.

— გადავრჩი და როგორ გადავრჩი! ჩემი სიცოცხლეს ერთს ბეწვსე კვიდა, მაგრამ მანც მეც მიწია იმ ოხრად დასარჩენმა თოფმა; ერთი საფანტი მეც მომხვდა მარჯვენა ფესში და მას აქეთ ძლივს-ღა დავხანსალე!

— მადლობა ღმერთს, შენ მაინც გადარჩიი... — მოსთქვა-  
 მდა ისევ ნათლიდუღა გაბძით.

— ძერე რა ჯანდაბად მინდა სიცოცხლე, რომ გადავრჩი!  
 არ გასულა ორი დღე, ბუდეც მინაგრ-მონაგრის ბიჭებმა და  
 ჩემი შავ-ლევა შვილები წყალს გაატანეს... ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!.. —  
 ამოუჯდა ვაჟს გული შვილების ხსენებაზე.

— როგორ? შვილებიც? იმათ რადას ემართლებოდნენ?  
 იმათ რაღა დაუშავეს? ვუი, ვუი, ვუი... — დაღვარა ცხარე ცრე-  
 მლები კაკლის ტოტზე მოლაღურმა და თან აქეთ-იქით ვრწე-  
 ოდა მწუნარებისაგან.

— ასეა, კენაცვალე, ვეკლა დაბალს ღობესე გადადის,  
 თორემ მე რამდენჯერ მინახავს, სოფლის მამასახლისს უფრო  
 დიდი დედლები წაურთმეგია მათთვის, და ხმაც არ გაუცნათ.

— ასეა, სწორედ, ვეკლა დაბალ ღობესე გადადის! დაე-  
 თანხმა მოლაღურიც.

— ჰო და, აბა, ამას შემდეგ რაღა დამჩენოდა, შენი  
 ჭირიძე, რომ არ აფერილიყავ სოფლიდან. ავიარე, წამოველ,  
 გამოვეცალე იქაურობას: დიდს თელასე, შუა სოფელში მივა-  
 ნებე ჩემს მინგრეულ-მონგრეულს სახლ-კარს თავი. და კიდევ  
 კარგი, რომ კოჭლს, ცალფეხას, სოფლის განაპირად უზა-  
 ტრონო ვირი შემხვდა, ქვევით მიდიოდა, ბალახს მისძოვდა,  
 დავაჯექი სურგზე და გავსწიე ტვისკან.

— მხელია, მხელი ქერივ-ონრობა, მხელია, კენაცვალე,  
 შვილების დაკარგვა, მაგრამ რა გაეწეობა, უნდა მოითმინო,  
 გული უნდა გაიმაგრო; ქვეყანა დიდია, ღმერთი მოწვებლა!

— მე უფრო ისა მწეინს, ნათლიდუღ, რომ ქურდობა და-  
 მბორაღეს. აბა, წარმოიდგინე, მე და ქურდობა! ჩემს სიცო-  
 ცხელში, აი, ამოდენა, — თან ფრჩხილი ანიძნა, — აი ამოდენა  
 არაგისი რა ვიცი. ვჭამ ჩემს ოფელს, ჩემს ალაღს ლუკმას.

— ოღონდაც, გენაცვალე, ოღონდაც, სიაღლაღ-ძართლეს  
რს სჯობია ქვეყნად!—დაჭეაბულდა ნათლიდედაც.

— ჭოდან ახლა ჩემის ოფლით ისევე გავიჩინე სახლ-კარნი,  
როგორც იყო გავიკეთე ბინა და სვალ-კი, გენაცვალე...—  
ევაჟმა აღარ დანათავა სიტყვა და, თითქოს შერცხვავა, თავი  
მხრებში ჩაჭყო დასამძლად.

— რა სვალ, ნათლიჯაღაბო, სვალ რაღა იქნება, კიდევ  
რამ უბედურება სომ არ მოკელით!—შეეკითხა შემერთალი მო-  
ლაღური.

— არა, შენ გენაცვალე, სვალ ქორწილი მაქვს, რა შექ-  
ნა, როდემდინ ძველად ასე ოხერ-ობლად. ავადმოფობა, კარ-  
გად-მოფობა, ვინ იცის, რა არ ჭნდება ჩვენს თავსე. ვინ  
იქნება ჩემი მოძულელი და მეც ერთი შავგურემანი ევანხალა  
ვიძოჯე. სვალ, ნათლიდედ, ქორწილი გვაქს, და, აი, სწორედ  
ამისთვის გამოვიარე, უნდა მეწვიო, ინახულო ჩემი ახალი  
ბინა; სომ იცი, ტეის ზირას, ძველი საყდარი რომ არი, იქ  
მუხებში მოიერის თავს ძაერთონი. ჩემი სახლიც იქავეა. ნუ  
დაიხარებ, შენ გენაცვალე, ოფოფიც დაძირდა, მაშვიც. მერე  
რა ლხენა იცის! გუგულისაც ბევრი ვსთხოვე. მაგრამ, სომ მო-  
გესწენებათ, იმის მიუკარებელი თავის ამბავი: „ჭოჯო, ან მო-  
ვალ, ან არაო,“ ისე, ორთა შუა მითხრა.

— რატომ, რატომ, ნათლიჯაღაბო, უეჭველად გესტუმ-  
რები. აბა, დილა ადრინ-კი, სწორე მოვასხენო, არა მცა-  
ლიან, სახლს მილაგ-მოლაგება უნდა, მერე ცოტა-სნით მიუ-  
დგებ-მოუდგები აქეთ-იქით, რომ გოგინს დასანაერებელი მოუ-  
ტანო, ვაჭმევ, გაურწევ აკვანს, მიუაძინებ და იმ წამსვე შენკენ  
გამოვქანდები.

— მაშ, სვალამდე, მშვიდობით ბრძანდებოდე, ნათლიდედ,  
მშვიდობით, გოგინს გაუფრთხილდი, თორე მტერი ბევრია,

გენაცვალე, აღარ არი უწინდელი ცოდო-მაღლი, ქვეყანა გა-  
 მოიცვალა. მშვიდობით, მშვიდობით, ნათლიდე!

კიდევ გამოემშვიდობა ევაგი, მსუნაგის თვალებით გადა-  
 ჰხედდა გოგიას ბუდეში, ძერე კისერი წინ წაიგრძელა, წაინა-  
 რა, აიქნის ფრთები და გაფრინდა.

— საწყაღი, საწყაღი ნათლიჯალაბი, რა მწუნარება გა-  
 მოუვლია! კიდევ კარგი, რომ აიტანა და ჰკვია არ შეერყა. —  
 ჩაილაზნარაკა მოლაღურმა და მიანაშურა ისევ თავის ბუდეს. დე-  
 დის მისვლასე გოგიას გამოეფვიძა და ჰირი დააღო, რა არის,  
 მძიან და მაჭამეო. მოლაღურმა-კი ისევ ბუდეს რწევდა დაუწეო,  
 ელოდებოდა, როდის გადაინრებოდა მზე დასაწყეთისაკენ, რომ  
 წასულიყო საჭმლის საშოვნელად. მაგრამ რადგან ბიჭო-გო-  
 გია გაუჭირვეულდა და არ იძინებდა, ნანინა დასძახა ბუდეს.

იავნანა, ვარდო ნანა,  
 იავნანინაო,  
 კიდრე, შვილო, გაიწრდები  
 იქნები შინაო!

გაიწრდები, გაჭფრინდები,  
 ვარდო, ნანინაო!  
 დედას სშირად მოიკანებ,  
 თუ რამ კეტკინაო.


ინავარდებ... შინდორ ველში  
 გექნება ბინაო.  
 და ჩემსავით შენც იმდერებ:  
 იავნანინაო!


მანამდე კი დაიძინე,  
 ჩემო ცაცინაო,  
 გენაცვალე, საამურად  
 რომ გაგეცინაო.

აღბად ძილში მსემ სსივები  
 გუღს მოგაფინაო,  
 ნანა, ნანა, ჩემო გოგო,  
 ვარდო, ნანინაო.

ი. ვედოშვილი.

(შემდეგო იქნება).





# ვირი და ძაღლი.

(თარგმანი).



რთ ვლესს ჭეაუდა ვირი და დიდი მურა ძაღლი. ვირი მეტად ჯიუტი იყო; სძირბდ როცა საფეკავი მიჭქონდა წისქვილში, უცვებ შეჩერდებოდა და ფესს აღარ იცვლიდა. ჰატრონი გამოვიდოდა მოთმინებიდან, მოურთავდა ჯოხს, ძაგრამ ვირი ძანც არ იძროდა, ქვიქვირ ჩამოშვებული იდგა ერთ ადგილას.

მურას, რომელიც უოუელთოვინ თან დასდევდა თავის ჰატრონს, გული მოსდიოდა ვირის საქციელსუდ, ეცემოდა ფესებში და გულ-და-გულ შეჭეეფდა, რის გამოც ვირმა ერთ-ხელ წინლიც სდრუსა. რამდენსამე წუთს შემდეგ, ვირი ქეიფსუდ მოვიდოდა, განაგრძობდა კვას და მიადგებოდა წისქვილს. მურას დიდი სანია უნდოდა მოლაზარაკებოდა ვირს და დაერიკებინა, ვაღდებული სარ, გაუგონო ჰატრონს და არ უნდა ჯიუტობდყო. ერთხელ, კვირბ დღეს, როდესაც ვირი ისვენებდა თავლაში, მურა შევიდა იმასთან და, ნიშნად სალამისა, ზრდილობიანად გაუქნია კუდი და უთხრა:



— გესმის, ვირო, მოდი ვიძუსაიფოთ მე და შენ. ხვეწ  
ვცხოვრობთ ერთ ჰატრონთან და დროა დაჰმეგობრდეთ.

— კარგი, ვიძუსაიფოთ, — უნასუსა ვირომა.

— მითხარ, კეთაჟვა, რადა ხარ ასეთი ჯიუტი? — ჰკითხა  
ძაღლმა.

— დიად, ძარტლას ჯიუტი ვარ, — დაუდასტურა ვირომა. —  
ძაგრამ ამამი დამნაძაჟვა ადამიანი, და არა მე. წინად სრუ-  
ლიად არ ვიყავი ჯიუტი. როდესაც ჰატარა ვიყავი, დაგრობ-  
დი და ვთანძობდი, როგორც ბავშვი და არ ვიცოდი თუ ასე-  
თი მქარე ბედი მომელოდა. როგორც კი წამოვიხარდე, ცოტა  
მძიმე ტომრების აკიდება და დილიდან საღამომდე თრევა და-  
მიწვეს; მოწინილებით ვასრულებდი ყოველსაჟე, რასაც ჩემგან  
მოითხოვდნენ, ძაგრამ ძანც ცუდად მექცევდნენ: მუდამ მცემ-  
დნენ, თავში მიტეპანებდნენ და ძანასრდოებდნენ სასიხლარ  
საჭმლით. არც ძროხები, არც ცხენები არ სჭამდნენ ისეთ გა-  
ფუჭებულ თივას და ცუდ ბაღასს, როგორსაც მე ვსჭამდი.

— როგორ? — გაიკვირვა მურომა, — მე კი ვნახე, როდესაც  
მოვიტანეს ცოტათი ძღვრიე წყალი, შენ არ დალიე და ძრო-  
ხამ კი დალია!

— უსუფთაო წყალს მე არასოდეს არ დავლიე, — უნასუსა  
ვირომა: — ის სომ უფასოა, არ ეიდულობს ადამიანი, ძამ, რა-  
ტომ არ უნდა დავლიო კარგი?

— ეკ კი არა, ხალსი ამობს, შენ იმიტომა ხარ ჯიუტი,  
რომ სუფელი ხარ, — უთხრა ძაღლმა.

— ვიცი, რომ ხალსი აგრე ამობს, ძაგრამ სცდებთან.  
იმიტომ ვარ ჯიუტი, რომ ცუდად მექცევიან — და თუ კიდევ  
მცემენ, ძამინ ჰნახავ, რასაც ვიხამ; დაწვეები წყალში და დავა-  
სუელებ ტომრებს; სომ არ იამება ჰატრონს?! დამიჯერე, სა-  
კმაოდ ჰკვიანი ვარ. შენ იცი, რომ მე გამოვიცნობ სოლმე,  
როგორი ამინდი იქნება?



— ეგ როგორ-ღა? — ჰკითხა ძაღლმა.

— აი, იცოდე, როცა ჩავედებ თავს, ეგ იმას ჭნიშნავს, რომ ცუდი ამინდი იქნება და, როდესაც ვიწეებ სტუნვას — ეგ კარგი ამინდის ნიშანია. ამას გარდა, ვინ იცის სასწლის მიგნება ისე, როგორც მე — და განა ჩემ ზატრონს კი ვერ ვიცნობ? ყოველთვის ძაღლიერი ვარ იმისი, როდესაც კარგად მეჭეობა.

მურამ ჩამოუშვა ცხვირი, ჩაუიქრდა და შეძვეკ უთხრა:

— როგორც ვხედავ, ჩემო მეგობარო, შენ მართალი ყოფილხარ; ზატრონი დამნაშავეა შენთან და ტყუილად გოვლის სუყელად. ამას იქით აღარ დავიწეებ ყეფას.

მორე დღეს, როდესაც ვირი ტვირთით შიდიოდა, უკან ზატრონი და ძაღლი მისდევდნენ, ვირი ჩვეულებიანებურ გაჩერდა, რათა ცოტათი შეესვენა. ზატრონიმა მოიძარტა სასრე ვირის დასაკრავად, მაგრამ მურამ ყეფა დაუწყო ზატრონს.

— რა ამბავია, მურა, შენ ზატრონსა ჰეუფ? — გაკვირვებით ჰკითხა კლემმა, — ამდენ ხანს ვირს შეჰეუფდი და ახლა მე დამიწეე ყეფა?

— საოცარია! იფიქრა ზატრონიმა, — ძაღლი ექამბგება ვირს; ალბად იცის, რომ ვირს ცემა არ უნდა.

იმ წუთსვე ვირი დაიძრა ადგილიდან და გაექანა მეტის სიჩქარით და ძაღვ მივიდა წინსვლიში. მას შეძვეკ ძაღლი ყოველთვის შეჩერებდა სოლმე თავის ზატრონს, როდესაც მოემხადებოდა ვირის საცემად. ერთხელ, როდესაც ზატრონიმა ვირს ერთი იღლია ნარ-ეკაბლი დაუყარა საჭმელად, ძაღლმა მიიბინა და დაუწყო თათებით ფანტავ ამ სასიხდარ საჭმელს, მაგრამ ვირმა მეგობრულად უთხრა:

— „დახეხე თავი! ეგ არაფერია, უკვე შეეჩვიე ასეთს საჭმელს და ახლა ამას უფრო ძადიანად ვჭამ, ვიდრე სხვა სა-


ჭმელს. ხოლო, რადგან შენ გადახვიე ზატრონი ჩემს ცემს, ამის გამო შენი დიდი მადლობელი ვარ.“

— გლეხმა შენიძნა, რომ რამდენადაც უკეთესად მოექცა ვირს, იმდენად ვირიც ნაკლებს ჯიუტობას იჩენდა, ამიტომ შეძევ დაუწყო ვირს უფრო კარგად მოწვრობა.

მურა და ვირი-კი შეიქმნენ განუწყოელი ძეგობრები და ძაღლიც ვირთან ერთად იწვა სოღმე თაყლაში.

ლადო ბზვანელი.





## თ ხ უ ნ ე ლ ა (ბუღ).



ა, ვა, ბიჭებო, რა ამბავი მომხდარა!  
მოდით, განხარეთ, გაძენით! — ურან-  
ტალობდა მალაღის სმით მოწინავე  
ევაგი, რომელსაც უკან მოხდევდა აუა-  
რებელი რიცხვი ევაგებისა.

— ევა, ევა! — მიამახეს მოწინავე მსუ-  
ნავს და მთელი გუნდი დაეშვა ჩვენის  
ტუის ბოლოზედ, სადაც დღეს ალიონსე

ბიჭებმა სოფლიდან მოათრიეს გატყავებულ ცხენის ლეში.  
მაღე საიდანღაც გახნდნენ უორნებიც. ის იყო დილა ადრიან  
საუსმის მოსაპოვებლად დავაპირე გამკსავრება ჩემ სოროდგან,  
როგორც შემომესმა ევაგ-უორნების ურანტალი. აბა, ტუტუცი  
სომ არა ვარ სევით ამოვსულიყავ. ცოტათიც რომ შემენძრია  
ხვრელში მიწა, იმ წამსვე მომვარდებოდნენ ჩემი მოსისხლე  
მტრები, — ევაგ-უორნები, და ტეავს გამაძრობდნენ. მაგრამ ვერ  
მიართვეს! მეც სულ სხვა გზას დავადევ და დილის საუსმე  
ჩემს მტრებსედ ნაკლების მადით არ გიანხელით. დავნაურდი და  
მივეუხდი ჩემს სოროში. მსოლოდ მესობლების ურანტალი  
გულს მიწვალებდა. აქვე, ჩემ სოროს სიანლოვეს, ტუის მცვე-  
ლი სცხოვრობს თავის ცოლ-მვილით. ვერ კიდევ ადრე იყო  
და ეველას ეძინა. მსოლოდ მაკრინე ამდგარიყო და ბოსტან-

ში ფუსფუსებდა. შუა ანრილი იდგა. კრუსიც თავის მიწოდლებულ ბით ეხოს მოსდებოდა და საკენეს ემებდა. ამ დროს კაკლის ხესედ შემოჯდა ჩნიკვი და ისეთის ხმით დაიძახა ჭაუ, ჭაუო, კეკონებოდათ დედაკაცს ქორი დაუნახავს და აძინებსო. იმის ხმაურობასე კრუსიც აკაკანდა, წიწილებმა წრიანი დაიწვეს და ძაკრინებაც ისეთის შეძინებულის ხმით დაიძახა ჭაუ, ჭაუო, რომ მთელი სახლობა გახდებოდა. ტეის მცვეელი ჰეტრე ტევაბ-ძე გამოვარდა ესოში, იმას მოსდევდა ჰერანგის აძარხ ხუთის წლის ვაჟი დათიკო და ღრიალებდა. ჰეტრემ გადისედა ესოს გადაღმა, დაინახა ცხენის ლეში და ჯავრობა დაიწყო. დათიკოც გამოერკვა ძილისაგან და საჭმელი მოითხოვა.

— დედა, ჰური მინდა, მშიან!— გაიძახოდა ჰატარა იმ დროს, როცა ჰეტრემ გადაახიჯა ღობეს და მოინდომა ლეშის შორს გადაგდება. შეძინებული ევაუ-ეორნები აფრინდნენ და შორი-ახლოს ჰეტრეს თავს დასტრიალებდნენ.

— ბიჭო, რა დროს ჰურია, ჯერ ევაუს ფეხი არ მოუტეხია!— დაიძახა დედამ შვილს, რომელიც არ ცხრებოდა და დედანს უმტკიცებდა, რომ ფეხიც მოიტეხა ევაუმა და გამძღვრებიც არხეინად ჰეაქში დაფრინავენო.

ევაუ-ეორნების ურანტალი შორიდან-და მოისმოდა. ახლა მხოლოდ ჰეტრეს ოჯახობის ხმაურობა ეწვეთებოდა ჩემ ეურებს, მაგრამ ეს ჩემთვის საშიშო არ იყო. ეუროთა სმენა, უნდა მოგასხენოთ, ძალიან მახვილი მაქვს. რამდენადაც მხედველობა არ მიჭრის, იმდენად სმენა, შესება და ენოსვა საგანგებო მაქვს. მხედველობაც არ ჰქონია ურიკო ჩვენს გვარს იმ თავითვე, ვიდრე მიწაში ცხოვრებას დაიწებდა ჩვენი წინაპარი. მხოლოდ შემდეგმა მიწაში ცხოვრებამ ჩვენთვის მხედველობის განვითარება უსარგებლო გაჭნადა და აძიტომაც, უვარჯიშობის გამო, დღეს-დღეობით მხედველობა სუსტი გვაქვს.

ან რა საჭიროა ჩვენთვის მხედველობა, როცა სულ უბრალო  
 ხმაურობას შორიდანაც ადვილად ვარჩევთ და სუნსაც ადვილად  
 დავიცემთ ხოლმე. თვალები-კი გვაქვს, თუცა ძლიერ ჰატარა,  
 წერტილის მძივის ოდენა და საკმარისადაც ვხმარობთ, როცა  
 იშვიათად ჰყარსედ ეოფნა გეჭირდება. ჰყარსე კამოხვლა-კი  
 ძალიან საშიშია ჩვენის გვარისთვის. ევაჟი, ბუ, ვარუატი და  
 სხვა ონავარი ფრინველები ძალიან გვეტყერებიან და არც  
 კვერნა, დედოფალა, ეარეუმი, ძელა და ძაღლი გვხოგავს.  
 ჩვენს ბედსე, მიწაში ბევრი ჭიაყელა, მატლი და სხვა-და-სხვა  
 მწერთა კვერცხი გვაქვს საზრდოდ და ჩვენც იოლად კამო-  
 გვაქვს თავი. მცენარეულობას არ ვეტანებით. ზოგიერთებს-კი  
 ჰგონიათ, რომ მცენარეთა ძირებს სჭამენ და ბოსტნეულობას  
 აფუჭებენო. სრულიადაც არა, თქვენმა მხემ! მხოლოდ ერთია  
 ძართალი, ის, რომ საცა ახალგაზდა ხესილს აძრავლებენ, იქ  
 ჩვენგან მიწის თხრა ვნებას აძლევს ნორჩ ხესილის გაზრდას,  
 მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ ფესვებსა და ან ძირებს ვსჭამ-  
 დეთ, არამედ იმიტომ, რომ ნორჩი ხე რიგიანად ვერ იკვებე-  
 ბა აჩიქნილ დედამიწაში ძეოჟ საკვებადით, ძირში წყალი  
 უდგება და სხვ. ამიტომაც არის, რომ ძებალყებს ძალიან ვძულ-  
 ვართ. სამაგიეროდ, დახნულ-დათესილ ეანებში, ბოსტნებსა და  
 მინდორ-ტეეში ჩვენი გაჩენა ღვთის წყალობაა, რადგან იმ აუ-  
 რაცხელ ჭია-მატლსა, ლოკოკინას და ჭოდოებს ვანადგურებთ,  
 რომელიც მცენარეულობისათვის დიდი ძავნებელია.

ძანისი იღვა. ახალი ნალოგინევი ვიყავი. სწორედ წინა  
 დღით ხუთი ჰატარა, ბრმა, ტიტველი კნუტი დაჯვარე. დამსუე-  
 ლი და ძალ-ღონე მინდილი, კამოყუდი სოროდან და სვრე-  
 ლისაჟენ ვქენი ჰირი. მიუხალოყდი ნორჩ ვაძლის ხეს თუ არა,  
 მქმამქსმა მესკიას ჭიკჭიკი. ძანც და ძანც დიდი ძვალბე-  
 ლი-კი არ ბრძანდება ეს ჩიტუნია, მაგრამ ძალიან გულ-ძოდ-

გინედ-კი გალობდა. დაუგდე უური. სულ ბუნების ქებასა  
 საცაბ დიდი მხეც ამოგორდება ჩვენის მთიდგანაო, გაგვინა-  
 თებს ჩვენს საამოდ მოქარგულ ტყე-ველსა და მინდორ-ბაღებ-  
 საო. მცნარეებიც-კი რაღაც მოწიწებითა და სინარულით მო-  
 ელიან ამ დალოცვილ მნათობის ამოსვლასაო. ვაქოთ და ვა-  
 დიდოთ, ვისაც ენა გიჭრისთ, ეს მშვენიერი, ცხოველ-მოფე-  
 ლი ბუნებაო, — გაიძახოდან მესკია. გული ამიტოკდა, სინარუ-  
 ლის ჟრუნტელებს დაძიარა ჯანში. ვიფიქრე ჩემს გუნებაში,  
 სწორედ ამ ჩიტუნისა გაუგია, რომ ჩემთვისაც დადგა სინარულ-  
 სიეგარულის ჟამი მეთქი და გულ-მოდგინედ უსმენდი ჩემ მკო-  
 სანსა. დიად, შვილების ეოლამ და უფრო-კი ადრე დაქორწინე-  
 ბამ ზირველად აღმიძრა გულში სიეგარულისა და ურთიერთო-  
 ბის გრძნობა. სასოგადოდ-კი ცუდის ხასიათისანი ვართ: გაუ-  
 ტანელნი, მოშურნი, ქვეყნის მოძულე, განკერძოებულ ცხოვ-  
 რებისა და კუჭის მოტროფილენი. მუდუ მუდუს როდი დაინ-  
 დობს, თუ მოერიბა. ეცემა, გამოუფათრავს გულ-მუცელს და შე-  
 სანსლავს. მხოლოდ შვილების ეოლის წინ დაუძეგობრდება  
 ხოლმე სვადი მუს და, შვილების გამოხრდის შემდეგ, ეველა-  
 ნი დაიქნაქსებთან. რომ მძლავრის ბუნების კანონი არა, რო-  
 ძლის ძალითაც ეოველი ცოცხალი არსება სცდილობს გვარის  
 გამრავლებას, დღეს მუდუს ხსენებაც არ იქნებოდა, მაგრამ ეს  
 კანონი თურმე უძლიერესი ეოფილა და ამით აინსნება ის გა-  
 რემოება, რომ, რაც უნდა ონავარი, დაუნდობელი ველური  
 იუოს, შვილების სიეგარულში არავის ჩამოეგარდება. — შენი  
 ოჯახი ააშენოს, დიდი სიამოვნება მაგრძნობინე შენის ჭიკ-  
 ჭიკ-გალობით მეთქი, — მივესალმე ჩიტუნისა, მაგრამ ის თავი-  
 სას არ იძლიდა, არა სცხრებოდა და ბოლოს საევედურიც  
 მითხრა:

— დაგიდგეს ისედაც დაეენებული თვალებიო, — მოძამა-  
 ხა, — მიწაში ჩამეგარალხარ და ასეთ ბუნების სიმშვენიერისა არა

გაბეგება რაო. კაცო, მეკი არა, დედამიწასე საუკეთესო მკო-  
 სანთაგან რომ აიფუნო თვით უდიდესი მკალობელი ბუღბუღიც,  
 და ის რომ მოკიფეს ასეთ მშვენიერ დილის ჯწერას, მანც  
 მთლიან სურათს ვერ დაგინატავს და ბევრს შეუძნეველს და-  
 სტოვეებს. ამოდი, შე საცოდავო, სეფით, ავარჯიშე შენის მსე-  
 დველობის იარბლი და დასტკბი ჩვენის ლამაზის ქვეუნი მშვე-  
 ნიერებითაო,—დაამთავრა მესკიამ თავისი კალობა, ზატარა  
 თერთ ზეზელას გამოეკიდა და შეეღანა.

— ჰეი, გიდი, ზოეტობას ძალიან ჩემულობთ და საყოველ-  
 თაო სიუვარულსაც ლამაზად აქებ-ადიდებთ, მაგრამ, როცა ში-  
 მშილით კუჭი დაგეწვით, ივიწეებთ, შვილოსან, თქვენის ქადა-  
 გების საგანს,—გაგივლე გუნებაში და ჩემ გზას გაუდექი.

ივანე ელიაშვილი.



მზაქლა



## მელია და ხოხობი.

(თარგმანი).



როსელ მელას მოძივნოდა, ტეიდგან კამოსულიყო და ტუის ზირას დაწანწალებდა. უცებ შენიშნა, რომ სესედ მსუქანი ხოხობი იჯდა. ნერწევ-მორეულმა ხის ქვეშ მიიწინა და ხოხობს ალერსიანად შეესმაურა:

— გამარჯობა შენი, მვირფასო, ხოხობო, როგორც კი გავიგონე შენი საამური სმა, მაშინვე შენსკენ გამოვსწიე, რომ შენის სიმღერით მომელსინა.

— გმადლობ გულკეთილობისათვის, — უთხრა ხოხობმა. მელამ უური მოიერუა, ვითომც ვერ გავიგონეო, და განაგრძო:

— შენ, ჩემო ხოხობო, უფრო კარგს იხამდი, რომ მოლსე ჩამობანდე და ისე მელანაზრაყო, თორემ მანდედან არა მესმის რა. ხოხობმა ჩამოსმახა:

— არა, ბატონო, არ შემიძლიან, რადგანაც ჩვენთვის მიწასე სიარული ძლიერ საშიშოა.

— ვინ იცის, იქნებ ჩემიც გემინიან? — ცბიერად შეეკითხა მელა.

— თუ შენი არა, სხვებისაგან მაინც შიშის მეტს რას მოველი? — უთხრა ხოხობმა: — ათას ნაირი ცხოველებია დედამიწასედა.

— ჰმ, ტუილად გმინებია, მეგობარო! გაგეკონებ, ბრძანება გამოვიდა, რომ მსეცები ერთმანეთს აღარ უნდა ერჩოდნენ.



— აი, ეკ კარგია, — მიუგო სოხობმა, — წინანდებურად რომ ეოფილიყო, გაქცევა მოკისდებოდა.

— განა რა ამბავია? გაქცევა რისთვის მოძინდებოდა? ჰკითხა მელამ.


— არაფერი, — მიუგო სოხობმა, — აი, იქ ძაღლები მორბიან ჩვენსკენ.

ცუღლუტმა მელამ როცა ძაღლებზე სიტყვა გაიგონა, ტყუილის ქადაგებას თავი დაანება და გაქცევა დააპირა. სოხობმა, რა ეს შენიშნა, სახქაროდ მიამხსა:

— საით, საით მიემურებით, ახლა რომ ბრძანებაა გამომცემული, რომ ძაღლები ჰიწნ აწავის ახლებენო.

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი და ტანი, შეიძლება ის ბრძანება მაგათ არც კი გაუგიათ და თავისი ძაღლობა არ დაიშალონ, — მიამხსა მელამ და დაბურულ ტუისაკენ მოჰკურცხლა.

გოგია მერკვილაძე.



ბ. ს. ს. ს.

# რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ).


„სამშობლოს“  
ერთი მომქმედი  
პირი.



ლ



ე



ბ



ს

100'



სა

ნი

ყ,



პ,

კ



ნ

ორ

მე-9 №-ში მოთავსებულ გამოცანების, ამოცანა-ცხრილის და რეზუსის აღსნა:

1) გამოცანები: 1—ლანდი. 2—ესო. (უჭუ).

2) ცხრილის: 

ნ	ი	ო
---	---	---

 რი, 

ი	ო
---	---

 რი, 

ო
---

 რი.

3) რეზუსის: სატაცური კემრელი საჭმელია.

„ნაკადული“-ს რედაქციის და წესდამდგომის სახელმძღვანელო  
გადმოცემის მხატვრული იუბილეა შემდეგი წიგნები:


„ნაკადული“-ს რედაქციის გამოცემა:

- 1) ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.—ფასი. 30 კ.
- 2) ტომის თავგადასავალი, —თხზულება მარკ ტვენისა,  
ფასი . . . . . 50 კ.
- 3) რას გვიამბობს ოთახი, —თხზულება ავენარიუსი-  
სა, ფასი . . . . . 20 კ.
- 4) დასურათებული ასაწყობი ანბანი, —ფასი. 1 მ. — „
- 5) სკრუჯი და მარლივი, —საშობაო მოთხრობა ჩარლზ  
დიკენსისა, ფასი. . . . . 25 კ.
- 6) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული სა  
უმაწვილო მოთხრობები, —ივანე ელიაშვილისა  
ფასი. . . . . 30 კ.
- 7) ამხ. „ცისკრის“ გამოცემა: —ლევ ტოლსტოის მო-  
თხრობები, ფასი . . . . . 5 კ.

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის მ. ქუთაისში ყოველ-  
დღიური ჟარტული გაზეთი

# კოლხიდა

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.  
ხელის მოსიწერი ფული უნდა გამოგზავნოს ქ. ქუთაისის რე-  
დაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველი აპრილიდან წლის  
დამლევამდინ 5 მან. და 10 შაური. თვიური ოთხი აბაზი.  
თითო ნომერი ერთი შაურნ.



# მიიღება ხელის მოწერა



1911 წლის იანვრიდან 1912 წლის იანვრამდე  
საემსახურებო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

წალიწალი მუშაობა

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული მცირე წლოვანთათვის“ **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1911 წლის ხელის მომწერლებს საჩუქრად მიეცემა:

I. ლევ ტოლსტოის მოთხრობა: **ბავშვობა და სიყრმე**;  
თარგმანი, ლევ ტოლსტოის სურათით და ბიოგრაფიით, II. „**რჩეულ მოთხრობათა კრებული**“.

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს სვანებზედ არსებული სარედაქციო კამისია.

ფასი ჟურნალის: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარს წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9 — 2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-ახნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი **ნიკო ნაკაშიძე**  
გამომცემელი **თავ. პ. ი. თუშანიშვილი**.